

აზიის განვითარების ბანკთან 59.4 მილიონი ევროს ოდენობის სასესხო შეთანხმებები გაფორმდა

✘ დღეს, საქართველოს ფინანსთა მინისტრმა ივანე მაჭავარიანმა და საქართველოში აზიის განვითარების ბანკის (ADB) ადგილობრივი მისიის რეგიონურმა ხელმძღვანელმა შეინ როზენტარმა, ხელი მოაწერეს შეთანხმებებს, რომლებიც საქართველოში ხარისხიან პროფესიულ განათლებასა და მომზადებაზე წვდომის გაუმჯობესებას ითვარისწინებს.

შეთანხმებების ფარგლებში, დასაქმების სექტორის განვითარების პროგრამისთვის საქართველო ჯამში მიიღებს **59.4 მილიონი ევროს (70 მლნ აშშ დოლარის ექვივალენტი)** ოდენობის ფინანსური რესურსს, საიდანაც **42.4 მილიონი ევრო** მიიმართება სახელმწიფო ბიუჯეტში, ხოლო **16.9 მილიონი ევრო** საინვესტიციო პროექტის განხორციელებას მოხმარდება.

„პროგრამის მიზანია, პროფესიული განათლებისა და გადამზადების სექტორის მხარდაჭერა. იგი მოიცავს პროფესიული განათლების პრიორიტეტულ სექტორებში ხარისხის ამაღლებას, პროფესიული საგანმანათლებლო სისტემის ხელმისაწვდომობის გაზრდასა და ინკლუზიურობას, პროფესიული სწავლების პროცესში ინსტიტუციური ჩარჩოს გაძლიერებას.

რაც შეეხება საინვესტიციო პროექტს – იგი ითვარისწინებს ქუთაისსა და თერავში არსებულ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში პრიორიტეტულ ეკონომიკურ სექტორებში მაღალი ხარისხისა და შესაბამისი მომზადების მისაღებად ორი პროფესიული ჰაბის შექმნას. ასევე, პროფესიული პროგრამების დანერგვას, დაახლოებით, 20

ზოგადსაგანმანათლებლო მიზნებისთვის და საკონსულტაციო სისტემის ჩამოყალიბებას, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კერძო მართვის პირობებში, ელექტრონული სწავლების დანერგვას, გარდა ამისა, დისტანციურ და შერეულ სწავლებას, ინფექციის საპრევენციო ღონისძიებების შესახებ ცნობიერების ამაღლების კამპანიის წარმოებას COVID-19-ის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით.



აღნიშნული შეთანხმებების გაფორმება საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს შორის არსებული წარმატებული თანამშრომლობის კიდევ ერთი დასტურია“, – ნათქვამია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს განცხადებაში.